

## მამამვილობა

1720 წელი, 7 ნოემბერი, კახეთში პატარა ბავშვის ტირილი ისმოდა, ყველა ზეიმობდა, დიან პატარიანად ყველა აღნიშნავდა დედამიწაზე კახეთის გმირის მოვლინებას. სიხარულისგან მტირალი თამარი და ბედნიერი თეიმურაზი, ერთმანეთს ულოცავდნენ და სიყვარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს. თეიმურაზი გახარებული იყო თავისი ბიჭი, ტახტის მემკვიდრე რომ მოევლინა ქვეყანას. უხაროდათ და იმედებდნენ, რომ მათი პატარა ვაჟკაცი ერეკლე, რომელიც, ჯერ კიდევ პატარა ტკივილების გამო ტიროდა, დიდი, სახელოვანი კაცი და გმირი გაიზრდებოდა. თუმცა, რას იფიქრებდნენ რომ მათი იმედები იმაზე კარგად გამართლდებოდა ვიდრე ფიქრობდნენ...

გაიზარდა ჩვენი ერეკლე, ასაკის მატებასთან ერთად უფრო და უფრო ჭკვიანდებოდა და ძლიერდებოდა. საქართველოს ღმერთივით ადგა თავს, არცერთი მხრიდან არ უშვებდა მტერს, დაუფიქრებლად მიდიოდა მეზობლებთან ერთად ბრძოლებში და მიუძღოდა მათ როგორც მწყემსი ფარას მიუძღვება მთებში...

ერეკლე, თავისი გადატვირთული გრაფიკის და ბევრი საქმის მიუხედავად მაინც იცლიდა თავისი დიდი ოჯახისთვის. ბატონიშვილების ოჯახი ოცდასამ ბავშვს, საყვარელ მამასა და დედას, დარეჯანს მოიცავდა. ერეკლე ყოველთვის ცდილობდა თავისი ოჯახის წევრებისთვის მიეწერა და შეხმანიებოდა მაშინაც კი როდესაც ლაშქრობაში იყო წასული.

1782 წელი. ერეკლე, სახლიდან შორს ლეკებთან ლაშქრობაშია წასული. თუმცა მაინც ცდილობს ოჯახთან არ დაკარგოს კავშირი. მის ამბავს კი, სახლში, ცოლი და შვილები მოუთმენლად ელოდებიან.

შუა დღეა, მეფის ჯარი ტყესთან ახლოს დაბანაკდა მოსასვენებლად, მეფე მგზავრობისგან ძალიან იყო დაღლილი, ასე რომ გასეირნება და დასვენება არჩია, ბანაკში დარჩენას. სასეირნოდ წასვლამდე, ბატონმა ქალაქი და მელანი წაიღო, რამოდენიმე დღის წინ, თავისი შვილი თეკლას მიერ გამოგზავნილი წერილის საპასუხო შეტყობინების დასაწერად. იფიქრა მარტო, სიწყნარეში, ხეების ხმაში უფრო დავწერ წერილსო და წავიდა. ტყის შუაგულში იყო შესული როცა შორიდან მაღალი ხე დაინახა, მართალია ტყე სავსე იყო დიდი ხეებით, თუმცა განსაკუთრებით ის მოხვდა თვალში. მივიდა შორიდან არჩეულ ხესთან, ახლოდან თვალი შეავლო მას, ირგვლივ მიმოიხედა და სიამაყით აივსო, თუ როგორი დიდებული ბუნების მქონე სამშობლო ქონდა და უკეთესად გაიზარა რომ ეს განძი არავისთვის არ უნდა დაეთმო.

ცოტახანი ასე იფიქრა, კიდევ ერთხელ გადაავლო თალი იქაურობას, ხის ქვეშ მოკალათდა, მელანი მიწაზე დადო, ქალაქი კარგად გაშალა და ფეხები კომფორტულად მოკეცა, რათა წერილი ადვილად დაეწერა. დიდი ხანი იფიქრა იმაზე თუ როგორ უნდა დაეწყო წერილი, რომელსაც თავის საყვარელ და გამორჩეულ შვილს, თეკლას გაუგზავნიდა, 5 წლის თეკლას რომელიც, მამას სახლში ყველაზე მეტად ელოდა.

დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერი მოიფიქრა, თითქოს წერილს პირველად წერსო თუმცა, საყვარელ მამას მალევე გაახსენდა ის მოფერებითი სახელი, რომელიც თავის

გოგონას ოთხი წლის ასაკში ხუმრობით დაარქვა „შვილზე ფიქრისგან სახეზე სიამოვნების ღიმილი გამოესახა, თავი დახარა, კალამი მელანში დაასველა და დაიწყო:

„თეკლა ბიჭსა,

თეკლას, მამისა და დედის სიხარულს, მადლი, წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ...“

აქ შეჩერდა, დაწერილს გადახედა და სიყვარულით წარმოთქვა „თეკლა ბიჭს“ და წერა გააგრძელა. წერილში შვილს მოესიყვარულა და კალიგრაფიაც „შეუქო“, ხუმრობით ისიც კი უთხრა რომ არაბულს გავდა და ძლივს წაიკითხეს, პატარა გოგონას ტკბილეულის გაგზავნასაც კი დაპირდა თუმცა, გასაკვირი არცაა თეკლა 5 წლის იყო და ტკბილეულის ჭამა ძალიან უყვარდა. როგორც კი დაამთავრა წერა, ნაღვლიანად ამოიხვნეშა, კალამი გადადო, მელანს თავი დაახურა და წერილის კითხვას შეუდგა. კითხვა როგორც კი დაამთავრა, ცაში აიხედა, ცოტახნით მას უცქირა, თავისი ნივთები მოაგროვა, წამოდგა და წავიდა.

ბანაკში დაბრუნებულ მეფეს თავისი მდივანი, ხორემანი შემოეფეთა გზაში და დიდი მოწიწებით შეჰკადრა მეფეს კითხვა „სად ბრძანდებოდითო?“ თუმცა, მეფემ არაფერი უპასუხა და თავის მდივანს გამოეცალა, მაგრამ ხორემანმა მალევე შენიშნა მეფეს ხელში წერილი რომ ეკავა და ჰკითხა- „მეფეო მე აქ არვიყავი წერილის დაწერა თუ გინდოდათ ვერ მთხოვეთო?!“ ამ შემთხვევაში თავის კარავთან მისული მეფე შემობრუნდა და ხორემანს უთხრა- „მინდოდა მეთვისთონ დამეწერა ის წერილი რომელსაც ჩემს საყვარელ ადამიანს ვუგზავნი“, ამის თქმა და კარავში მეფის შესვლა ერთი იყო. შესვლისთანავე გაშალა წერილი, დახედა მას და ბეჭედი დაუსვა ხუთ სხვადასხვა ენაზე, რადგან იცოდა რომ შვილს ასეთი რამ ძალიან გაახარებდა. წერილი აიღო, თვალი სწრაფად გადაავლო, დაკეცა და მსახურს გაატანა ოჯახთან, იმ იმედით რომ ისინი პასუხს დაუბრუნებდნენ და გაიგებდა ოჯახის შესახებ თუ როგორ იყვნენ.

შიკრიკმა წერილი ოჯახში მიიტანა და მსახურს გადასცა, ბრძანებით რომ, ეს წერილი და საჩუქრები ერეკლესგან იყო თეკლა ბიჭისთვის. მსახურმა წერილი თეკლა ბატონიშვილს შეუტანა ოთახში და წაუკითხა. თეკლას ძალიან გაუხარდა მამისგან მისული წერილი. სიხარულისგან ცეკვა დაიწყო როდესაც ნახა გამოგზავნილი საჩუქრები რომლებშიც თავისი საყვარელი ტკბილეული შედიოდა.

ერეკლე ლამქრობიდან დაბრუნდა... დაუბრუნდა თავის ოჯახს, თავის საყვარელ შვილებს, საყვარელ ნაბოლარას თეკლას, რომელიც მამას ყველაზე მეტად ელოდა. გაზარდა ისინი ღირსეულად, აჩუქა საქართველოს ბევრი კარგი პიროვნება.

დიდმა ერეკლემ მთელი მისი ცხოვრება სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულსა და დაცვაში გაატარა.

*სახელი და გვარი: მარიეტა კილაძე. ასაკი: 13; ქალაქი: ქუთაისი;  
სკოლა: სსიპ. #30 საჯარო; კლასი: მე-9*